რეცენზია

გეოგრაფიის დოქტორის გიორგი კვინიკაძის მონოგრაფია- „გეოეკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედვარდ ლუტვაკამდე"

ზურაბ დავითაშვილი
თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

თეიმურაზ ბერიძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს ახალი, ძალზე საინტერესო და პერსპექტიული ცოდნის დარგის - გეოეკონომიკის თეორიული საკითხების ისტორიულ ანალიზს. თანამედროვე ეპოქა, რომლის მთავარი შინაარსი გლობალიზაციაა, ხშირად მოიხსენიება ეპოქად, როცა გეოპოლიტიკის ადგილს გეოეკონომიკა იკავებს და საერთაშორისო სისტემაც, უპირველეს ყოვლისა , გეოეკონომიკური დაპირისპირებისა და ბრძოლის არეალად იქცა. ცხადია, აღნიშნული ვითარება ძალზე აქტუალურს ხდის გეოეკონომიკის მეცნიერულ შესწავლას, მისი თეორიული საკითხების კვლევას და ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერების მემკვიდრეობის ანალიზს.

გიორგი კვინიკაძე საქართველოში გეოეკონომიკის ერთ-ერთი პიონერი მკვლევარია. მისმა სამეცნიერო სტატიებმა და მონოგრაფიებმა ფაქტობრივად საფუძველი დაუდო გეოეკონომიკის მეცნიერულ კვლევას საქართველოში და დიდი დახ-

მარება გაუწია ამ დარგით დაინტერესებულ მეცნიერებს და სტუდენტებს. მაგრამ აუცილებელი იყო მკითხველს ჰქონოდა ნაშრომი, რომელიც თავს მოუყრიდა გეოეკონომიკური აზრის ისტორიას და დაანახვებდა გეოეკონომიკური თეორიების განვითარების ძირითად ეტაპებს პირველი ჩანასახებიდან დღემდე. სწორედ ასეთი წიგნია **„გეოეკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედვარდ ლუტვაკამდე“,** რომელიც სულ ახალახანს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ და ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პროფესორ ალექსანდრე რონდელის ხსოვნას.

წიგნი შედგება ხუთი ნარკვევის, შესავლისა და დასკვნისაგან. დანართის სახით ერთვის ე. ლუტვაკის გახმაურებული სტატიის თარგმანი. თოთოეული ნარკვევი (გეოეკონომიკური აზრის ევოლუცია, ბიპოლარული გეოეკონომიკა, პოსტბიპოლარული გეოკონომიკა, ტურბოკაპიტალიზმი, გეოეკონომიკური ომები) გეოეკონომიკის საკვანძო საკითხების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზია, რაც შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, მიიღოს სრული წარმოდგენა ამ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან ცოდნის დარგზე.

წიგნი დაწერილია გამართული ქართულით. დარწმუნებულნი ვართ ის სამაგიდო წიგნად იქცევა გეოეკონომიკით დაინტერესებული საზოგადოებისათვის და ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ჩვენს მეცნიერებს და ყველა საფეხურის სტუდენტებს (განსაკუთრებით საზოგადოებრივი გეოგრაფიის, საერთაშორისო ურთიერთობების და ეკონომიკის სპეციალობებზე).